რწმუნებულება

ქ.თბილისი

31.07.2020

აღნიშნული რწმუნებულებით, შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ ს/კ 405341447, წარმოდგენილი დირექტორის - ვალერი ტურძელაძის პ/ნ 61001060512 სახით, სახით, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მარწმუნებელი", "რწმუნებულს“ - ლევან ტურძელაძეს პ/ნ 61001058093 ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია შეიტანოს განცხადება, ნებისმიერი სახის მოთხოვნა თუ გარიგება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და ასევე თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სამსახურში. რწმუნებული უფლებამოსილია მოითხოვოს მშენებლობის ნებართვის გაცემა, არსებული პროექტის კორექტირება და განახორციელოს ყველანაირი უფლებამოსილება, რაც საჭიროა სამშენებლო-საინვესტიციო საქმიანობის კანონით დადგენილი წესით წარმართვისთვის.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახლით განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, უფლებამოსილია შეათანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მისი კორექტირება, შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი და აიღოს მშენებლობის ნებართვა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, იყოს პროექტის დამკვეთი, მშენებლობის მწარმოებელი პირი, მოახდინოს მშენებარე ფართების განაწილება და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, განსაზღვროს სართული, ბინის ნუმერაცია, კორექტირების შედეგად ბინის ნომრის, ცვლილება.

რწმუნებულება გაცემულია უვადოდ და ძალაშია მისი სათანადო წესით გაუქმებამდე.

რწმუნებულება

ვალერი ტურძელაძე ვალერი ტურძელაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200503453
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.07.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. N 1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	64463367736220

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცი წლის ოცდათერთმეტ ივლისს მე, ნოტარიუსს ანჟელა მანიას, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქუჩა № 1, მომმართა ვალერი თურძელაძემ. მან წარმოადგინა მინდობილობა (ოთხი ეგზემპლარი) და განაცხადა, რომ სურს ამ მინდობილობაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწრმუნდი, რომ მე ვალერი თურძელაძემ (დაბადებული: 24.06.1991წ. ქობულეთში, პირადი №61001060512, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. ქობულეთი, 9 აპრილის ქუჩა, N 13)მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა წინამდებარე მინდობილობაზე. მე მას განვუმარტე, რომ ნოტარიუსი ანჟელა მანია მინდობილობის შინაარსზე და სამართვლებრივ შედეგებზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას და ვამოწმებ მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას მასზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 4 ეგზემპლარზე 4 ხელმოწერისთვის 8 (რვა) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.44 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთმითითებული დადგენილებისა.

ნოტარიუსი /ანჟელა მანია/